

საქართველო XVIII-XIX საუკუნეების
სპარსულ პოეზიაში
GEORGIA IN THE XVIII-XIX-CENTURY PERSIAN POETRY

მარინა ალექსიძე
Marina Alexidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სპარსული პოეზია, თბილისი – სიხარულის
ქალაქი, შეიხ სანა'ანი.

Keywords: Persian poetry, Tbilisi – City of Joy, Sheikh Sana'an.

საქართველო და ქართველების თემა სპარსულ პოეზიაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩნდება. ეს ტრადიცია XVIII-XIX საუკუნეებშიც გაგრძელდა: ამ პერიოდის სპარსულ ლიტერატურაში გვხვდება საქართველოსადმი და, განსაკუთრებით, თბილისისადმი მიძღვნილი არა მარტო ლექსები, არამედ პატარა პოემებიც კი. საფი ხალხალის (XVIII ს.) 350-ბეითიანი მესნევის – „ქალაქ თბილისის ქება“ – თავების დასათაურება კარგად გამოკვეთს იმ საკითხებს, რომლებიც სპარსული პოეტების მუზა ხდებოდა: თბილისი და მისი შემოგარენი, მომხიბვლელი ქართველი ქალები, თბილისის ცნობილი აღმოსავლური აბანოები და ქართული ღვინო.

ეს თემები მეტ-ნაკლები ინტენსივობით მეორდება XIX საუკუნის სპარსული პოეტების - ფათჰოლაჰ ხან შეიბანის, ანდალიბ ქაშანის, მირზა სადეყ ყარაბაღის, ვაფა დაღესთანისა და სხვათა ლექსებში. ამ პოეტების უმეტესობა საქართველოსთან ბიოგრაფიულად იყო დაკავშირებული, თუმცა მათ ლექსებს მეტწილად საფუძვლად უდევს არა იმდენად თვითმხილველის ემოციები, არამედ სპარსელთა ცნობიერებაში უკვე არსებული ხატი საქართველოსი და, განსაკუთრებით, თბილისისა, რომელიც ორ უმთავრეს შემადგენელს მოიცავს. პირველი (თბილისი – ამქვეყნიური სამოთხე) შეფასებითი ხასიათისაა და მოდის შიიტური შუასაუკუნეობრივი ტრადიციიდან, რომლის მიხედვითაც თბილისი ერთ-ერთ „ღვთისგან რჩეულ ქალაქს“ წარმოადგენდა.

ამ ტრადიციის გამოძახილი უნდა იყოს ეპითეტი „დარალ-სორურ“ – სიხარულის, ტკბობის ქალაქი, რომელიც XIX საუკუნემდე შემორჩა თბილისს ირანელთა შორის. მეორე (თბილისი – ქალაქი, სადაც შეიხ სანა'ანს ქართველი ქალი შეუყვარდა) კონკრეტული ამბის შემცველია და უკავშირდება ძველი აღმოსავლური ლეგენდის გვიანდელ ინტერპრეტაციას, რომელიც საქართველოში XVIII-XIX საუკუნეებში გახდა პოპულარული.

XVIII-XIX საუკუნეების სპარსული პოეტების საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები უდავოდ საყურადღებოა, როგორც ქართულ-სპარსული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის კიდევ ერთი საინტერესო სფერო.

ლიტერატურა:

- ალექსიძე, მ. - Alexidze, M. (2009). Le cheikh Sana'an et Tiflis/Tbilissi, "La Georgie entre Perse et Europe", Paris: "L'Harmattan".
- ალექსიძე, მ. (2016). საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. თბილისი: "არტანუჯი".
- ბერაძე, გ. - Beradze, G. (2008). Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shi'i Tradition, "Journal of Persianate Studies", 1, No.2, Leiden-Boston: "Brill".
- თოდუა, მ. (1975). საფი ხალხალის „თბილისის ქება“, „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, II, თბილისი: „მეცნიერება“.

Georgia and Georgians appear in the Persian verse as early as the twelfth century. The Georgian theme was developed in the late Middle Ages, when Persian-Georgian relations became increasingly close. Chapter headings of the poem "Eulogy on the City of Tbilisi" written by the eighteenth-century author Safi Khalkhali illustrate the range of themes that inspired Persian poets: the city itself and its environs, well-known baths of Tbilisi, beautiful Georgian women, and Georgian wine. As a rule, these aspects of Tbilisi are mentioned in the poems of the nineteenth-century Persian authors as well, such as Fath Allah Khan Shaybani, Andalib Kashani, Mirza Sadeq Qarabagi, Vafa Dagestani and others. The majority of them were connected with Tbilisi biographically, however their poems are based on long-standing Persian concepts about Georgia and, in particular, about Tbilisi rather than on a personal experience.

Two aspects of these concepts attracted special attention of the poets. The first derives from a Shi'ite tradition which considers Tbilisi to be one of the "chosen cities", together with Kufa and Qum. Due to this reverential attitude, Iranians retained the epithet of Tbilisi "Dar al-Sorur" ("City of joy") up to the nineteenth century. The second is associated with the ancient Oriental story of Shaykh Sana'an who fell in love with a Christian woman. In the nineteenth centuries, a local popular version of this story was developed in Georgia, according to which events took place in Georgia, the maiden was Georgian and

the Shaikh died in Tbilisi. This version was well-known among Iranian poets and was widely reflected in their works.

References:

- Alexidze, M. (2009). Le cheikh Sana'an et Tiflis/Tbilissi, "La Georgie entre Perse et Europe", Paris: "L'Harmattan".
- Alexidze, M. (2016). Sakartvelo qajarta periodis sparsul tskaroebshi. Samogzauro da memuaruli literatura [Georgia in Persian Sources of the Qajar Period. Travelogues and Memoirs], Tbilisi: "Artanuji".
- Beradze, G. (2008). Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shi'i Tradition, "Journal of Persianate Studies", 1, No.2, Leiden-Boston: "Brill".
- Todua, M. (1975). Safi Khalkhalis "Tbilisis keba" [Eulogy on the City of Tbilisi by Safi Khalkhali], "Georgian-Persian Studies", II, Tbilisi: "Metsniereba".

ტრანსფიქსი, თემის კატეგორია, გვარი და
დერივაცია სალიტერატურო არაბულის
მორფოლოგიაში
TRANSFIX, FORM CATEGORY, MOOD AND DERIVATION IN
MORPHOLOGY OF LITERARY ARABIC

მაია ანდრონიკაშვილი
Maia Andronikashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ძირი, ტრანსფიქსი, დამხმარე მორფი, ძირეული
მორფი, აგლუტინაცია, გრამემის რეპრეზენტანტი, ფლექსიურ-
ფუზიური წარმოება, თემის კატეგორია.

Keywords: Root, Transfix, Auxiliary Morph, Root Morph, Agglutination,
Grammeme Representant, Flexional-fusional Formation, Form Category